იულიუს ევოლა

JULIUS EVOLA

# ომის მეტაფიზიკა

## METAPHYSICS OF WAR

(ბრძოლა, გამარჯვება და სიკვდილი
ტრადიციათა სამყაროში)

გამომცემლობა „აქტი“
თბილისი / 2023

ნაწარმოებში თვალნათლივ არის წარმოჩენილი ნებისმიერი სახის ბრძოლისა და, ზოგადად, ომის გამოხატულებების მეტაფიზიკური მხარე, რითაც ავტორმა გადაარჩინა და გაამართლა ხსენებული სფეროს გარე გამოვლინებები, რომლებიც შესაძლოა, ერთი შეხედვით, ყოველგვარი სულიერებისა და ღრმა შინაარსისაგან დაცლილ მოცემულობად მოეჩვენოს ადამიანს.

თარგმანი შესრულებულია
ინგლისური ენიდან

მთარგმნელი: ცომაია დავითი
კორექტორი: შონია ნინო
გამომცემელი: ცაცუა გიზო

მეორე გამოცემა 2023

გამომცემლობა „აქტი“, 2023
ვებ-გვერდი: AKTI.GE

© გამომცემლობა „აქტი“

ISBN 978-9941-8-5959-5

# სარჩევი


წინასიტყვაობა.....5

ლუკა ბაკურაძე
იულიუს ევოლას „ომის მეტაფიზიკის“ ძირითადი საკითხები....10

I. მეომრული გმირობის ფორმები.....35
II. ომის სიწმინდე.....45
III. ჯვაროსნულ ლაშქრობათა მნიშვნელობა.....55
IV. დიდი და მცირე ომი.....64
V. ომის მეტაფიზიკა.....73
VI. არმია, ვითარცა მსოფლიოს თვალთახედვა.....82
ეთიკური ასპექტი.....82
სოციალური ასპექტი.....84
სტოიკური შეგრძნება.....86
VII. რასა და ომი.....90
VIII. ორგვარი გმირობა.....101
IX. რასა და ომი: ბრძოლის არიული გააზრება.....115
X. ომის რასა და სული.....129
XI. არიული მოძღვრება ბრძოლისა და.....142
გამარჯვების შესახებ.....142
XII. მეომრული ელემენტის მნიშვნელობა.....160
ახალი ევროპისათვის.....160
XIII. გმირობის ნაირსახეობები.....171
ბოლშევიკური ქვეპიროვნულობა.....171
იაპონური ბრძოლის მისტიციზმი.....173
რომაული თავგადადება.....174

XIV. გამარჯვების რომაული გაგება.....182
XV. განთავისუფლება.....192
XVI. ჰეროიზმის დაცემა.....197
ბურჟუაზიული იდეალი.....198
საკმარისია ილუზიები.....200
გამომცემლობა „აქტი“-ს მიერ გამოცემული წიგნები.....205

# წინასიტყვაობა

ჯულიო ჩეზარე ანდრეა ევოლა (1898-1974) – იტალიელი ფილოსოფოსი და მწერალი, პოეტი, მხატვარი, ებრაული შეთქმულების თეორეტიკოსი, ოკულტისტი და ეზოტერიკოსი.

დაიბადა რომში. თავდაპირველად გახლდათ ხელოვანი, მისი რამდენიმე მცირე ზომის ნაწარმოები შექმნილია ფუტურისტულ-დადაისტური მოტივებით. მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში, რის შემდეგაც დაიწყო წიგნების წერა. მასზე დიდად მნიშვნელოვანი და გარდამტეხი იდეოლოგიურ-მენტალური გავლენა მოახდინეს ისეთმა მოაზროვნეებმა, როგორებიც იყვნენ ფრიდრიხ ნიცშე, ოტო ვაინეგერი, რენე გენონი...

იტალიაში, ბენიტო მუსოლინის სახით ფაშიზმის დამყარების შემდგომ, ევოლას მოტივაცია და ბიძგი მიეცა, დაეწერა პოლიტიკურ-ფილოსოფიური ნაშრომები, რომელთა საშუალებითაც წამოიწყებდა დასავლური ტრადიციონალიზმის აღდგენისა და აღორძინების იდეების პროპაგანდას. მას სწამდა, რომ ტრადიციონალისტური პრინციპების პოლიტიკასა თუ კულტურაში ხელახლა განხორციელება ახალ საზოგადოებრივ ელიტას ჩამოაყალიბებდა.

ბარონის იდეებისა და შეხედულებების თავისებურად გაგებისა და ინტერპრეტაციის შედეგად თავი იჩინა ე.წ. „ევოლომანიის“ ფენომენმა, რომლის მიხედვითაც, ევოლას მიმდევრებისათვის მთელი ამ პოლიტიკურ-ფილოსოფიურ-სოციალური პოტენციალის „ანი“ და „ჰოე“ თავად იულიუს ევოლა გახლდათ მხოლოდ და მხოლოდ, რამაც გარკვეული დამახინჯება გამოიწვია მოცემულ იდეოლოგიურ ასპექტებში.

1974 წელს მისმა მიმდევრებმა, ორმა თანამემამულე ალპინისტმა, ევოლას სხეულის ფერფლი აიტანეს ალპებში.

იტალიელი ავტორის იდეათა არსი დღემდე დავის საგნად რჩება, ვინაიდან იგი თავისთავში მოიცავს როგორც მემარცხენე, ისე მემარჯვენე იდეოლოგიის პრინციპებს.

* * * *

ბარონი იულიუს ევოლა საკმაოდ ფართომასშტაბიან ცოდნას ავლენს სხვადასხვა რელიგიურ-კულტურულ-ტრადიციული სამყაროს შესახებ: სკანდინავიური კულტურა, ისლამური ტრადიცია, ქრისტიანული თუ ჰინდური სამყარო. ავტორი მათ ფონზე განიხილავს ომის იდეასა და ბუნებას, მის ნიშან-თვისებებსა და ხასიათს.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ნაწარმოებში არსებითი აქცენტი გაკეთებულია შინაგან ომზე, სულიერ ბრძოლაზე, რომელიც ადამიანის, როგორც სრულფასოვანი პიროვნების, შიგნით თავისებურად და ინდივიდუალურად მიმდინარეობს.

აქ, ხელისუფლებას და, ზოგადად, ძალაუფლებას ზებუნებრივი დატვირთვა აქვს და დამყარებულია სულიერ ღირებულებებზე. საერო და სასულიერო სფეროები მჭიდროდაა ურთიერთკავშირში და თანამშრომლობენ თავიანთი საქმეების ურთიერთგაზიარებით. ამიტომაც, შესაძლოა, ითქვას, რომ ევოლა საზოგადოებებისათვის მისაბაძ მაგალითად თვლის ძველ, ანტიკურ იმპერიებსა და შუასაუკუნეების რაინდულ ორდენებს, და შინაგანად მისტირის მათ. ვინაიდან, იგი მიიჩნევს, რომ ბოლოდროინდელი განადგურებული იმპერიების სიკვდილის არსებითი მიზეზი სწორედ პაციფისტურ-ალტრუისტული ქრისტიანობაა, რომელმაც ურთიერთისაგან გააუცხოვა საერო და სასულიერო სამყაროები.

მიუხედავად ევოლას პირადი შეხედულებებისა და პრინციპებისა, – კაცობრიობის რასობრივი დაყოფის ნორმებსა და შესაბამის მოძღვრებას რომ ითვალისწინებს – წინამდებარე

## ლუკა ბაკურაძე
## იულიუს ევოლას „ომის მეტაფიზიკის“ ძირითადი საკითხები

იულიუს ევოლა დაიბადა 1898 წელს რომში. ის იყო: პოეტი, მხატვარი, ესეისტი, კრიტიკოსი, ეზოტერიკოსი და ფილოსოფოსი. მისი შეხედულებები ეხმიანება: ულტრა-მემარჯვენე იდეოლოგიას, ტრადიციონალიზმს, ჰეროიზმს, არისტოკრატიულ ფაშიზმსა და რასიალიზმს. ახალგაზრდა ევოლა დადაისტური მიმდინარეობის მხატვარი იყო, მისი თქმით ეს მიმდინარეობა გახლდათ იარაღი გაბატონებულ რაციონალიზმზე გასალაშქრებლად. ამავდროულად, აქტიურად კითხულობდა ბუდისტურ ლიტერატურას და იმდენად შეჰყვა აღმოსავლურ აზროვნებას, რომ ამან თვითმკვლელობის მცდელობამდეც კი მიიყვანა. წარუმატებელი მცდელობის შემდეგ დაიწყო აღმოსავლური და დასავლური ეზოტერული სამყაროსა და ლიტერატურის შესწავლა; პარალელურად კითხულობდა ფილოსოფიასა და მხატვრულ ლიტერატურას. მასზე დიდი გავლენა მოახდინა: ფრიდრიხ ნიცშემ, რენე გენონმა, გერმანულმა იდეალიზმმა, წარმართულმა წარმოდგენებმა და რელიგიურმა წმინდა წიგნებმა.

იტალიელი ფილოსოფოსის წიგნები ძირითადად რელიგიური, ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური ნაწარმოებების ისტორიული და პოლიტიკური ფაქტების განხილვით, ამასთანავე, სპირიტუალიზმზე არსებული წყაროების მიმოხილვით არის სავსე. ის მკაფიოდ აკრიტიკებს: ეგალიტარიანიზმს, დემოკრატიას, დემოკრატიის პირობებში არსებულ თანასწორო-

ბასა და უფლებებს, ლიბერალიზმს, სოციალიზმს, მარქსიზმს, კომუნიზმს – ამავდროულად, ეხება ხელოვნებისა და ეთიკის სფეროებს; ხაზს უსვამს: მხატვრულ ლიტერატურაში, მუსიკაში, მხატვრობასა და სხვა სფეროებში რეგრესირების ნიშნებს; მკაცრად აკრიტიკებს მასკულტურას და მორალს, რაც მასებისთვის არის განკუთვნილი.

იულიუს ევოლას ფილოსოფიური მოდელი ტრადიციონალისტური, ანტი-ლიბერალური და სპირიტუალურია. ალბათ, ეს არის მიზეზი იმის, რომ ის დღემდე არ კარგავს აქტუალურობას ფილოსოფიითა და პოლიტიკით დაინტერესებულ ადამიანებში. მეოცე საუკუნეში მოღვაწე იტალიელი იმდროინდელ სამყაროს უჯანყდებოდა თავისი აზროვნების ფორმით (იხ. წიგნი „აჯანყდი თანამედროვე სამყაროს წინააღმდეგ“), დღეს კი მისი აზრები ბევრად უფრო რადიკალურად, უხეშად და თანამედროვე სტანდარტებისთვის შეუფერებლად მოგეჩვენებათ. თანამედროვე ლიბერალური აკადემიური წრეებისთვის ევოლა ტაბუირებული თემაა და რთულია რომელიმე არსებულ უნივერსიტეტებში ევროპის, თუ ამერიკის მაშტაბით მასზე რაიმე სახის ლექციები, ან განხილვები მოისმინოთ. ამის მიზეზი, გარდა იმისა, რაც ზემოთ აღვწერე, მისი ანტი-სემიტური დამოკიდებულებებიც არის.

## მეტაფიზიკა და ომის მნიშვნელობა ადამიანისთვის

იულიუს ევოლა პირველ მსოფლიო ომში იბრძოდა, ამიტომ მან კარგად იცოდა რას ნიშნავს იარაღით ბრძოლა მტრის წინააღმდეგ. მისივე თქმით, ამ ომში ის არასწორ მხარეს იმყოფებოდა, რადგან გერმანელების წინააღმდეგ მოუწია ბრძოლა, მაგრამ ეს წამით არ ცვლის იმ შეგრძნებებსა და ომის არსთან წვდომის ფენომენს, რაც ამ პროცესს ახლავს თან.

„ომის მეტაფიზიკა“ სწორედ ომის არსზე, მის გავლენაზე ეგზისტენციალურ არსთან მიმართებაში და ადამიანის პოტენციალის გამოვლენაზე მოგვითხრობს.

მეტაფიზიკა ნიშნავს მატერიალურის მიღმა არსებულ სამყაროს, რაც იდეების სამყაროს, ობიექტურ რეალობას, ზე-მგრძნობელობას და მსგავს აბსტრაქტულ ნიშნებს აერთიანებს. მოცემული ტერმინი არისტოტელეს წიგნიდან „მეტაფიზიკა“ იღებს სათავეს, თუმცა არსებობრივად და მნიშვნელობით ეს უკანასკნელი დასავლურ ფილოსოფიაში პლატონით იწყება. პლატონის დიალოგებში იდეათა სამყაროა მხოლოდ რეალური, მატერიალური კი წარმავალი და მოჩვენებითია. იულიუს ევოლა დასავლური ფილოსოფიის წარმომადგენელია, მიუხედავად იმისა, რომ მასზე დიდი გავლენა აქვს აღმოსავლურ ფილოსოფიასა და რელიგიებს. მისი დიალექტიკური მოდელი დასავლურია და მეთოდები აზროვნების იმ კანონზომიერებას მიჰყვება რაც მის წინამორბედ ფილოსოფოსებს ახასიათებდათ. ამდენად, გასაკვირი არ არის, რომ წიგნს „ომის მეტაფიზიკა“ ჰქვია. მეტაფიზიკა ამ კონტექსტში საკითხის ღრმა და აბსოლუტურ მნიშვნელობას უსვამს ხაზს. მოცემულ ავტორს ამავე სტილში აქვს დაწერილი სხვა საკითხებზეც, როგორიც არის ეროსი/სიყვარული, რასა, ჰეროიზმი და ა.შ. დასავლურ ფილოსოფიაში მსგავსი სახელწოდების წიგნებიდან შეგვიძლია გავიხსენოთ გერმანელი ფილოსოფოსის – არტურ შოპენჰაუერის – „სქესური სიყვარულის მეტაფიზიკა“, სადაც მოთხრობილია ღრმა შინაარსები ქალ-ვაჟური ურთიერთობის. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ წიგნის მთავარი ლაიტმოტივი ომის მნიშვნელობის მრავალმხრივი განხილვაა.

ნაწარმოების პირველ თავში საუბარია რა პერსპექტივებს უსახავს ომი ადამიანს. ბრძოლის ველი სილაჩრის და სიმამაცის, სისუსტისა და სიძლიერის, კეთილშობილებისა და ბოროტების, სულმდაბლობისა და სიქველის გამოვლინების არეალია. ადამიანი თავისუფალია ფრონტზე, ის თავად წყვეტს რომელი შეგრძნება აიტაცებს მის ყოფიერებას. ეს მომენტი საშუალებას იძლევა მთელი ცხოვრების მღელვარება ერთ ეპიზოდში გაე-

იულიუს ევოლა

---

# ომის მეტაფიზიკა

## I. მეომრული გმირობის ფორმები

ის არსებითი პრინციპი, რომელიც, ადამიანური თვალსაზრისით, ეფუძნება ომის ყოველგვარ გამართლებას, გახლავთ გმირობა (ჰეროიზმი). როგორც ნათქვამია, ომი ადამიანს სთავაზობს შესაძლებლობას, გამოაღვიძოს მასში არსებული მძინარე გმირი. ომი არღვევს მყუდრო და კომფორტული ყოფა-ცხოვრების წესს; თავისი ულმობელი, მძიმე განსაცდელებით იგი გვთავაზობს სიცოცხლის სახეცვლილ ცოდნას... სიცოცხლისა, რომელიც ემყარება სიკვდილს. მომენტი, რომელშიც პიროვნება ახერხებს, იცოცხლოს გმირულად – მაშინაც კი, თუ ეს მისი ამქვეყნიური ცხოვრების უკანასკნელი წუთებია – ფასეულობათა სასწორზე სწორედ ეს მომენტი უსასრულოდ მეტს იწონის, ვიდრე გახანგრძლივებული არსებობა, რომელიც ქალაქების ერთფეროვნებათა შორის მონოტონური, მოსაწყენი ხარჯვით მიედინება. სულიერი თვალთახედვით, ხსენებული შესაძლებლობანი ანაზღაურებს და გადაწონის ომის იმ უარყოფითსა და დამანგრეველ მხარეებს, რომელთაც ესე ცალმხრივად და მიკერძოებულად გამოჰკვეთს პაციფისტური მატერიალიზმი. ომი კაცს მიახვედრებს ადამიანური სიცოცხლის პირობითობას და, შესაბამისად, გააცნობს კანონს, სახელად „მეტი, ვიდრე სიცოცხლე“. ...და, მაშასადამე, ომი ყოველთვის ატარებს ანტიმატერიალისტურ, სულიერ ღირებულებას.

ამგვარ მსჯელობას გააჩნია უდავო ღირსება და იგი ახშობს ჰუმანიზმის ლაქლაქს, ემოციურ ბუზღუნს, „უკვდავი პრინციპე-

ბის“ ქომაგთა და „კალმის გმირების“ საერთაშორისო პროტესტს. ...და მაინც, უნდა ვაღიაროთ შემდეგი: იმისათვის – სრულად რომ განვსაზღვროთ ის პირობა-ვითარებანი, რომლებშიც ომის სულიერი მხარე ხდება აშკარად ცხადი – აუცილებელია, უფრო შორიდან შევხედოთ საკითხს და ზოგადი მონახაზი გავაკეთოთ „მეომრული გამოცდილების ფენომენოლოგიის“ იმ ტიპზე, რომელიც გამოარჩევს სხვადასხვა ფორმებს და იერარქიულად ახარისხებს მათ, ისე, რომ უპირველესად ხაზი გაესვას იმ ასპექტს, გმირული გამოცდილებისათვის ფრიად საგულისხმოდ რომ ითვლება.

ამ შედეგამდე რომ მივიდეთ, აუცილებელია, გავიხსენოთ მოძღვრება, რომელსაც „დიორამას[1]“ მუდმივი მკითხველი უკვე იცნობს და რომელიც – გონებაში რომაა შენახული – როდია რაღაც მიკერძოებული, პირადი ფილოსოფიური ნააზრევის შედეგი, არამედ პროდუქტია ბუნებაში არსებული რეალური და ობიექტური მონაცემებისა. ესაა მოძღვრება იერარქიულად ოთხგვარი განაწილების შესახებ; დოქტრინა, რომელიც ბოლოდროინდელი უახლესი ჟამის ისტორიას განიხილავს, ვითარცა უნებურ ჩავარდნას თითოეული იერარქიული ხარისხიდან მის მომდევნო ქვედა საფეხურამდე. ეს ოთხგვარი განაწილება (და ეს უნდა გვახსოვდეს) გახლავთ ყოველ ტრადიციულ ცივილიზაციაში არსებული ისეთი რამ, რომელმაც წარმოშვა ოთხი ურთიერთისაგან განსხვავებული კასტა: მონები, ბურჟუაზიული საშუალო კლასი, მეომარი არისტოკრატია და სულიერი, წმინდა ავტორიტეტის მატარებლები[2]. ამ შემთხვევაში, „კასტა“ არ გულისხმობს – როგორც ხშირად ჰგონიათ – რაღაც ხელოვნურსა

1. დიორამა – აქ: ჟურნალის სახელწოდება, რომელშიც ავტორი აქვეყნებდა თავის შრომებს.

2. საქართველოში ასე გადანაწილდებოდა: გლეხები, აზნაურები, თავადები და მეფეები ან/და მმართველი სასულიერო პირები (ეპისკოპოსი, პატრიარქი).

და თვითნებურ ფორმას, არამედ უფრო მეტად ესაა „ადგილი“, სადაც საერთო ბუნების, საერთო სახის ინტერესთა და მოწოდებათა, საერთო დასაბამიერი თუ პირველსაწყისი მონაცემების მოზიარე ინდივიდები იყრიან თავს. თავიანთი განსაკუთრებული „სიმართლე“, განსაკუთრებული ფუნქცია განსაზღვრავს კასტებს – ნორმალურ პირობებში – და არა პირიქით: ამიტომაც, კასტაში არ დგას საკითხი უპირატესობების მოპოვებაზე, იგი არ გვაძლევს ცხოვრებისა და თავის გატანის იმგვარ საშუალებებს, მონოპოლიზირებული და მიტაცებული რომ არის ისეთი სოციალური მოწყობის შემთხვევაში, რომელიც მეტად თუ ნაკლებად ხელოვნურად და არაბუნებრივადაა შენარჩუნებული. ეს განმსაზღვრელი პრინციპი – რომელიც აყალიბებს ინსტიტუციებს ამგვარ საზოგადოებებში (სულ მცირე, ამ საზოგადოებათა მეტად სარწმუნო ისტორიულ ფორმებში მაინც) – მდგომარეობს იმაში, რომ არ არსებობს ერთი მარტივი, უნივერსალური ცხოვრების წესი ადამიანთათვის, არამედ – მრავალი განსხვავებული სულიერი გზა, რომელიც თავის მხრივ შეეფერება მეომარს, ბურჟუას და მონას და, რომ ამ სახის ფორმირებასთან სოციალურ ფუნქციათა და გადანაწილებათა შესაბამისობისას – კლასიკური გამოთქმის თანახმად – არსებობს წესრიგი სიმართლისა და სამართლიანობის მიხედვით[3].

ეს წესრიგი გახლავთ „იერარქიული“ იმ მხრივ, რომ იგი გულისხმობს ყოფიერების ქვემდგომ ხარისხთა ბუნებრივ დამოკიდებულებას მის ზემდგომ ხარისხებზე და, ამ დამოკიდებულების შესაბამისად, – თანამშრომლობას. ზემდგომთა ამოცანაა და დანიშნულება, რომ წმინდად სულიერ საფუძვლებზე დაყრდნობით თვითგამოსახვასა და პიროვნულობას მიაღწიოს. სადაც მოწესრიგებული და ნორმალური ურთიერთობაა დამყარებული დაქვემდებარებულობისა და თანამშრომლობის

3. არსებობს წესრიგი სიმართლისა და სამართლიანობის მიხედვით – Secundum aequum et bonum (ლათ.).

მხრივ, სწორედ ამგვარი შემთხვევებია საღი; ყოველივე უფრო ნათლად აიხსნება ადამიანის ორგანიზმის ანალოგიის მოხმობით: არაჯანსაღია ორგანიზმი – თუკი ადამიანის ცხოვრებაში, გარკვეულ მიზეზთა გამო, ფიზიკურ ნაწილს (მონები) ან ვეგეტატიურ სისტემას[4] (ბურჟუაზია), ანდა უკონტროლო ცხოველურ ჟინს (მეომრები) მთავარი და წამყვანი ადგილი უჭირავს – ხოლო, ორგანიზმი ჯანმრთელია მარტოოდენ მაშინ, როდესაც სული წარმოადგენს ცენტრალური და უმაღლესი დანიშნულების წერტილს სხვა დანარჩენი კომპონენტებისათვის, რომლებშიც, ამისდა მიუხედავად, არ გამოირიცხება ნაწილობრივი ავტონომიურობა (თავიანთი ფუნქციონირების წესითა და დაქვემდებარებულობითურთ მთელის ერთობის საკითხში).

მას შემდეგ – რაც ჩვენ ვსაუბრობთ არა უბრალოდ ნებისმიერ ძველ იერარქიაზე, არამედ ჭეშმარიტ იერარქიაზე, რომელიც გულისხმობს მაღლამდგომისა და მმართველის რეალურ აღმატებულობას – აგრეთვე აუცილებელია, შევეხოთ ცივილიზაციის სისტემებსაც, რომლის ცენტრიც უჭირავს სასულიერო ელიტასა და მონების, ბურჟუაზიისა და მეომართა ცხოვრების წესები თავის სრულ მნიშვნელობასა და უზენაეს გამართლებას იღებს იმ პრინციპის მიხედვით, რომელიც გახლავთ ამ სასულიერო ელიტის განსაკუთრებული მემკვიდრეობა; ცხოვრების ეს წესები ხსენებულ პრინციპს მატერიალურ საქმიანობებში ავლენს და ადასტურებს. თუმცაღა, არანორმალურ და ანომალიურ მდგომარეობას ვიღებთ მაშინ, თუკი ცენტრი გადაინაცვლებს ისე, რომ, ნაცვლად სულიერ პრინციპად მყოფობისა, ცივილიზაციის ფუნდამენტური წვერო ხდება მონური კასტა, ბურჟუაზია ან/და მეომრები. ამათგან, თითოეული გამოავლენს საკუთარ იერარქიას და თანამშრომლობის გარკვეულ სისტემას, მაგრამ

4. ვეგეტატიური სისტემა (ბიოლ.) – ადამიანის ავტონომიური ნერვული სისტემა, რომელიც არეგულირებს ორგანოთა და ქსოვილთა ფუნქციონირებას და ნივთიერებათა ცვლის პროცესს.

## გამომცემლობა „აქტი“-ს მიერ გამოცემული წიგნები

### ფრიდრიხ ნიცშე –

1. ანტიქრისტე
2. სიკეთისა და ბოროტების მიღმა
3. ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან
4. კერპების მწუხრი, ანუ როგორ ფილოსოფოსობენ ჩაქუჩით

### მერაბ მამარდაშვილი –

1. კარტეზიანული განაზრებანი
2. ცნობიერება და ცივილიზაცია
3. ლექციები ანტიკურ ფილოსოფიაში
4. რაციონალურობის კლასიკური და არაკლასიკური იდეალები

### სიორენ კირკეგორი –

1. შიში და თრთოლვა
2. სატანჯველის სახარება
3. ან/ან: ნაწყვეტი ცხოვრებიდან

### ზიგმუნდ ფროიდი –

1. ეგო და Id
2. მოსე და მონოთეიზმი
3. ფსიქოანალიზის შესავალი
4. უკმაყოფილება კულტურით
5. მასების ფსიქოლოგია და ეგოს ანალიზი
6. სამი ნარკვევი სექსუალობის თეორიიდან
7. ყოველდღიური ცხოვრების ფსიქოპათოლოგია

ლევ შესტოვი –

1. შემეცნების ფილოსოფია და თეორია
2. შემოქმედი და დამანგრეველი სამყარო

სვამი ვივეკანანდა –

1. კარმა-იოგა
2. ბჰაქთი-იოგა
3. შთაგონებული საუბრები
4. პატანჯალის იოგა სუტრა
5. ძველი ინდური ფილოსოფია
6. მედიტაცია და მისი მეთოდები

კარლ იასპერსი –

1. ნიცშე და ქრისტიანობა
2. ფილოსოფიის შესავალი

ბერტრან რასელი –

1. ესეები
2. ქორწინება და მორალი

ერიხ ფრომი –

1. ადამიანის სული

მიგელ დე უნამუნო –

1. ქრისტიანობის აგონია

იმანუელ კანტი –

1. მარადიული მშვიდობისკენ

ედმუნდ ჰუსერლი –

1. ამსტერდამული მოხსენებები

ხოსე ორტეგა-ი-გასეტი –

1. ეტიუდები სიყვარულზე

ნიკოლაი ბერდიაევი –

1. ყოფიერება, თავისუფლება, ღმერთი

გუსტავ ლე ბონი –

1. მასების ფსიქოლოგია
2. ერების ფსიქოლოგია

ჯიდუ კრიშნამურტი –

1. მედიტაცია
2. თავისუფლება ცნობილისგან
3. სწრაფი ცვლილებების აუცილებლობა
4. პირველი და უკანასკნელი თავისუფლება

ოშო –

1. ცნობიერების მზე
2. საწყისთა საწყისი
3. სიყვარულის ძალა
4. რა არის მედიტაცია?
5. სექსიდან სუპერცნობიერებამდე

ალექსანდრე ბერკმანი –

1. ანარქიზმის ანბანი

ემა გოლდმანი –

1. ანარქიზმი, ათეიზმი, ფემინიზმი

დ. ჰ. ლოურენსი –

1. ფანტაზია არაცნობიერის თემაზე
2. ფსიქოანალიზი და არაცნობიერი

იულიუს ევოლა –

1. ომის მეტაფიზიკა
2. ვეფხვის მორჯულება

მაჰათმა განდი –

1. გზა ღმერთისაკენ

ჯორჯ ბერკლი –

1. ტრაქტატი ადამიანური შემეცნების პრინციპების შესახებ

გიორგი გურჯიევი –

1. გრძნეულთა ბრძოლა
2. დანახული რეალური სამყაროდან
3. შეხვედრები შესანიშნავ ადამიანებთან
4. ბელზებელის ნაამბობი შვილიშვილისთვის
5. ცხოვრება რეალურია მხოლოდ მაშინ, როცა „მე ვარ“

ნონა ხიდეშელი –

1. Carpe diem
2. მეტამორფოზა

ავტორთა ჯგუფი –

1. სპინოზას ფილოსოფია

ირაკლი ბრაჭული –

1. ზეკაცის ჰერმენევტიკა

ჟან-პოლ სარტრი –

1. ეგზისტენციალიზმი ჰუმანიზმია

ჯონ სტიუარტ მილი –

1. სოციალიზმი
2. თავისუფლების შესახებ
3. ქალთა დაქვემდებარება

გაბრიელ მარსელი –

1. იყო და ფლობდე

დევიდ ჰიუმი –

1. რელიგიის ბუნებრივი ისტორია

ლუდვიგ ბინსვანგერი –

1. ეგზისტენციალური ანალიზი

არმინ ნავაბი –

1. რატომ არ არსებობს არავითარი ღმერთი

ანი ბეზანტი –

1. კარმა
2. თეოსოფია
3. ეზოტერული ქრისტიანობა თუ მცირე მისტერიები